

მოსწავლეებში თვითშეფასებისა და თვითრეფლექსიის კომპეტენციების
განვითარება
(სსიპ თამარ მეფის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ
გეგუთის N 1 საჯარო სკოლის მაგალითზე)

ნინო ნიქაბაძე
თორნიკე შევარდნაძე
ვერიკო ხურცილავა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია ანდლულაძე



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესის შესაბამისად.

ნინო ნიქაბაძე

თორნიკე შევარდნაძე

ვერიკო ხურცილავა

(ნაშრომის წარდგენის თარიღი)

აბსტრაქტი

აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს პრაქტიკის კვლევის ანგარიშს თემაზე: „მოსწავლეებში თვითშეფასებისა და თვითრეფლექსიის კომპეტენციების განვითარება სსიპ თამარ მეფის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის N 1 საჯარო სკოლის მაგალითზე“.

მოცემული კვლევის მიზანია სსიპ თამარ მეფის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის N1 საჯარო სკოლის მხარდაჭერა მოსწავლეებში თვითშეფასებისა და თვითრეფლექსიის კომპეტენციების განვითარების მიმართულებით. ამ პროცესში კვლევა და შემუშავებული ინტერვენციები მოიაზრება მოსწავლეებისთვის თვითშეფასებისა და თვითრეფლექსიის კომპეტენციის განვითარების პროცესში მასწავლებლებისთვის ახალი ინსტრუმენტების შემუშავებას, მათ პრაქტიკაში გამოყენებასა და ანალიზის შედეგად პოზიტიური საკლასო ცვლილებების გამოწვევას.

კვლევა განხორციელდა პრაქტიკის კვლევის ფორმატში და მის ფარგლებში გამოყენებულ იქნა როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევის მეთოდები. კერძოდ, თვისებრივი კვლევის მეთოდებიდან მკვლევართა ჯგუფმა მიმართა სიღრმისეული ინტერვიუს, ფოკუს ჯგუფის და დოკუმენტების ანალიზის, ხოლო რაოდენობრივი კვლევის მეთოდებიდან კი გამოკითხვის მეთოდს.

კვლევის მეთოდების გამოყენება მიემართებოდა როგორც ინტერვენციების შემუშავებას, ისე მათ შეფასებასა და ანალიზს. დიაგნოსტიკური კვლევის შედეგებიდან გამომდინარე დაიგეგმა პირველი ინტერვენცია, რომელიც გულისხმობდა სკოლისთვის და მასწავლებლებისთვის განახლებული თვითშეფასების ინსტრუმენტების პილოტირებას. მისი შედეგების ანალიზის საფუძველზე დაიგეგმა და განხორციელდა მეორე ფართო ინტერვენცია. აღნიშნული ინტერვენცია მოიცავდა რამდენიმე კომპონენტს: საწყის ეტაპზე შემუშავდა ინტეგრირებული კომპლექსური დავალება, რომელიც დაწყებითი

საფეხურის მე-2 კლასის ფარგლებში აერთიანებდა ქართულისა და ხელოვნების საგნებს. თავის მხრივ, თვითშეფასების ინსტრუმენტების ეფექტურობის გასაზრდელად კვლევის ჯგუფი შეთანხმდა აღნიშნული ინსტრუმენტების ინტეგრირებული კომპლექსური დავალების ფარგლებში გამოყენებაზე. საბოლოოდ, ინტერვენციების ანალიზის შედეგად სკოლისთვის გამოიყო კვლევის ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები.

ძირითადი სამიზნო სიტყვები: თვითშეფასება, თვითრეფლექსია, თვითშეფასების ინსტრუმენტები, ინტეგრირებული კომპლექსური დავალება.

Abstract

This thesis examines the key findings of the practice study on the topic “The development of self-assessment and self-reflection competencies among schoolchildren on the example of public school #1 named after King Tamar in Geguti village, Tskaltubo municipality”.

The primary purpose of this study is to support abovementioned school community in developing the self-assessment and self-reflection competencies. The research and designed interventions contemplated the development and implementation of the new methods for teachers to strengthen the self-assessment and self-reflection competencies among schoolchildren, and based on the piloting analysis to induce positive changes in school environment.

The practice study methodology was applied in the research, using quantitative as well as qualitative research methods. In particular, the thesis involved in-depth interviews, focus groups and document analysis. As for the quantitative methods, the short survey was applied in the study. The research methodology entailed not only development of the interventions, but evaluation and analysis as well. Based on the results of the diagnostic study, the first intervention was planned, which considered the piloting the updated self-assessment tools for teachers. The second intervention was planned and implemented relying on the results of the first one. The last intervention were consisted of several components: at the initial stage, an integrated complex task was developed, combining the Georgian Literature and Art subjects for the second class pupils. To increase the effectiveness of the self-assessment methods, the research team agreed to apply integrated complex assignments in the framework of the study. At the end, based on the analysis of the interventions, the key conclusions and recommendations were revealed.

Keywords: Self-assessment, Self-reflection, Self-reflection methods, Integrated complex assignment